# მიკრო მერჩანტების წახალისების პროგრამა – შეღავათიანი ტრანზაქციული საკომისიო ადგილობრივი VISA და Mastercard ბარათებით გადახდებზე

## ტერმინთა განმარტებები

| | |
|---|---|
| ბანკი: | სს „კრედო ბანკი“ |
| აქცია: | აქციის ფარგლებში, იმ მერჩანტებს, რომლებიც იყენებენ **Mycredo ტერმინალს ან Mycredo SmartPOS ტერმინალს,** არიან ინდივიდუალური მეწარმეები და არ არიან დღგ-ს გადამხდელები, დაერიცხებათ დაბალი ტრანზაქციული საკომისიო VISA-სა და Mastercard-ის დომესტიკ ბარათებზე. |

### 1.1 აქციაში მონაწილეობის პირობები

აქციის პერიოდში, მონაწილეობა შეუძლია ყველა ინდივიდუალურ მეწარმე პირს, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული, ხოლო მისი წლიური ბრუნვა, ყველა ექვაირერის ჭრილში, არ აღემატება 100 000 ლარს და კონკრეტულად VISA-ს ჭრილში — 40 000 ლარს.

### 1.2 აქციის მოქმედების პერიოდი:

ვადა: 25.06.2025 – 31.10.2026

### 1.3 აქციის პირობები:

აქციის პერიოდში, იმ მერჩანტებს, რომლებიც იყენებენ Mycredo Terminal-ს ან Mycredo SmartPOS Terminal-ს, VISA-სა და Mastercard-ის დომესტიკ ბარათებზე ტერმინალზე გატარებულ ტრანზაქციებზე დაერიცხებათ შეღავათიანი ტრანზაქციული საკომისიო.

| | |
|---|---|
| კრედო ბანკის ნებისმიერი ბარათით განხორციელებული საბარათე ოპერაციის შემთხვევაში | ტრანზაქციის თანხის - 1.2% |

| | |
|---|---|
| პარტნიორი კომერციული ბანკის Visa / Mastercard ბარათით განხორციელებული საზარათე ოპერაციის შემთხვევაში (თიბისი ბანკი, ჰალიკ ბანკი საქართველო) | ტრანზაქციის თანხის - 1.2% |
| საქართველოში ნებისმიერი რეგისტრირებული არაპარტნიორი კომერციული ბანკის Visa /Mastercard ბარათით განხორციელებული საზარათე ოპერაციის შემთხვევაში | ტრანზაქციის თანხის - 1.2% |

1.4 აქციის პერიოდში შეღავათიანი საკომისიოს გააქტიურება მოხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით:

აქციის დაწყებიდან დასრულებამდე, გადამოწმდება ყველა მერჩანტი აქვთ თუ არა დღგ-ს გადამხდელის სტატუსი მინიჭებული. მონიტორინგი განხორციელდება ყოველთვიურად, თვეში ერთხელ. იმ შემთხვევაში თუკი მერჩანტი აკმაყოფილებს პირობას, რომ არ აქვს გადამხდელის სტატუსი, მისი მონაცემები გაიწერება სისტემურად და შეღავათიანი საკომისიოს ჩამოჭრა მოხდება ავტომატურად. თუკი მონიტორინგის პროცესში დაფიქსირდა, რომ მერჩანტი, ვინც ჩასმულია აქციაში გახდა დღგ-ს გადამხდელი, მას გაუუქმდება შეღავათიანი პირობა და დაბრუნდება ძველ საკომისიოზე.